პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# კომუნისტი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების
ორგანო
წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ.
6 თვ—1 მ. 70 კ, 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

130 (1125) | კვირა, 27 ივნისი 1926 წ. | 130 (1125)

## გამცემლების ახალი მანევრი.

დღეს ჩვენს გაზეთში თავსდება კომინტერნის აღმასკომის მოწოდება ყველა ქვეყნის მუშებისადმი. ეს მოწოდება მეტის მეტად საგულისხმოა. ის გვაუწყებს ჩვენ ახალი საფრთხის შესახებ, რომელიც დამარცხებით ემუქრება ინგლისის სამთამადნო მუშების გაფიცვას.

ეს საფრთხე კვლავ გამცემლური გენერალური საბჭოს მხრიდან მოდის. როგორც ვიცით რადიომ გადმოგვცა ცნობები, რომ, თითქოს, გენერალურ საბჭომ მოინანია თავისი შეცდომები და ის მზად არის მხარი დაუჭიროს სამთამადნო მუშებს მათ ბრძოლაში შემოტეულ კაპიტალის წინააღმდეგ. სამთამადნო მუშების ბელადის კუკის განცხადებით გენერალური საბჭო, თითქოს, მზად არის შექმნას პროფკავშირთა ერთიანი ფრონტი ინგლისის გათავხედებულ იმპერიალისტების წინააღმდეგ.

გამოდის, რომ გენერალური საბჭოს შეცდომა თითქოს შემთხვევითი იყო, რომ ის ეხლა გამოფხიზლდა და დაუბრუნდა ნამდვილი კლასობრივი ბრძოლის პოზიციებს. ასე ფიქრობენ გაფიცულ მაღაროს მუშების ხელმძღვანელები. ეს უდიდესი შეცდომაა. ისინი ვინც გასცა მუშათა კლასი, დაარღვია პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი, შეიტანა მასში არევ-დარევა, ხელი შეუწყო საერთო გაფიცვის დამარცხებას—ისინი არასდროს არ იბრუნებენ პირს მუშებისაკენ, არას დროს არ დაიცავენ მუშების ინტერესებს. გენერალური საბჭოს ღალატი უნებლიე კი არა, ნამდვილი წინასწარ მომზადებული გამცემლობა იყო მუშების დასამარცხებლად.

და სრულიად სამართლიანად აღნიშნავს კომინტერნის აღმასკომი თავის მოწოდებაში რომ: „ეხლანდელი ახალი შეთანხმება გენერალურ საბჭოსა და სამთამადნო მუშების ბელადთა შორის არის მხოლოდ და მხოლოდ მუშების ახალი მოსატყუებელი მანევრი“... და შემდეგ „დიდი მაისის გაფიცვის მსვლელობამ და მისმა ბედმა ნათლად დაგვანახა, რომ ინგლისის პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტი ნიშნავს მას, რომ მუშები გაცემულ იქნებიან ბურჟუაზიის სასარგებლოდ“.

გენერალურ საბჭოს ახალი მანევრი მდგომარეობს მასში, რომ ლამაზი სიტყვებით მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ კვლავ ნდობა მოიხვეჭოს გაფიცულ მუშებისა და შემდეგ ასეთივე ლამაზი სიტყვებით ხელი აიღებინოს მათ გაფიცვაზე.

ეს გაიძვერული, საზიზღარი მანევრი ამ თავითვე უნდა დაინახოს და უნდა შეიგნოს გაფიცულ სამთამადნო პროლეტარიატმა.

კუკი კი არ აჰკუიანებს გენერალურ საბჭოს, არამედ გენერალურ საბჭოს შეცდომაში შეჰყავს ის და სურს თავის ბრმა იარაღად გამოიყენოს.

ამიტომაც ინგლისის მუშებმა ღირსეული პასუხი უნდა გასცენ გამცემლების ახალ მანევრს. დაუნდობლად უნდა შეებრძოლონ მერყევ ელემენტებს თავის რიგებში და „შექმნან მუშათა მასების ნამდვილი, პატიოსანი ბრძოლა კონსერვატორების წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვენ მეზობლური დამოკიდებულების შეწყვეტას საბჭოთა კავშირთან“.

საბჭოთა კავშირის და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის მოვალეობაა ერთიორად გააძლიეროს თავისი დახმარება და ხელი შეუწყოს ინგლისის სამთამადნო პროლეტარიატს გამარჯვებამდე მიიყვანოს დაწყებული ბრძოლა.

# გენერალური საბჭო ახალი გამცემლობით ემუქრება სამთამადნო მუშებს

## ინგლისის რეაქციონური ბურჟუაზია განაგრძნობს ანტისაბჭოთა კამპანიას

### ისლანდიამ იცნო საბჭოთა კავშირი

## „რუსეთის საკითხი“ ინგლისის თემთა პალატაში.

### საკლატვალა თემთა პალატაში.

„რუსეთის საკითხის“ გარშემო კამათის დაწყების დროს ინგლისის თემთა პალატაში შემოვიდა ციხიდან ახლად განთავისუფლებული კომუნისტი დეპუტატი საკლატვალა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდენ მუშათა პარტიის დეპუტატები.

### კონსერვატორების მოთხოვნილება.

კონსერვატორების ერთი ნაწილი დაჟინებით მოითხოვდენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტას. ისინი აცხადებდენ, რომ „რუსეთის მიერ მოპარული ყველა ფულები ინგლისიდან, უკან ბრუნდება მთელი იმპერიის კონსტიტუციონური რეჟიმის დამხობის მიზნით“.

### მუშათა პარტიის დეპუტატები ეწინააღმდეგებიან.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მუშათა პარტიის დეპუტატებმა, რომლებმაც გაილაშქრეს კონსერვატორების მოთხოვნილების წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირიდან მაღაროს მუშების დასახმარებლად გადმოგზავნილი ფული შეგროვილია პროფკავშირებისაგან, მოძმე მუშებისათვის ძმური დახმარების აღმოჩენის მიზნით. საბჭოთა მთავრობა იმდენად ღებულობს მასში მონაწილეობას, რამდენადაც პროფკავშირები ასე თუ ისე ორგანიულად არიან დაკავშირებული მასთანო.

ჩერჩილის გალაშქრება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მაკდონალდმა ჩასთვალა უზრდელობად და დაუსაბუთებელ ბრალდებად. მაკდონალდმა „წინადადება მისცა ჩემბერლენს გააფართოვოს სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება ბოლო მოეღოს ევროპაში შექმნილ მდგომარეობას, რომელიც უმნიშვნელოდ არის მკვიდრიო.

### ჩემბერლენის პასუხი.

ჩემბერლენმა უპასუხა რა ორატორებს განაცხადა: „მართალია მთავრობას აქვს საფუძველი უკმაყოფილო იყოს საბჭოთა ხელისუფალთა მოქმედებით,—მაგრამ იქვე დაუმატა, რომ—ინგლისისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის ინტერესებისათვის უაზრობა იქნებოდა რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა და უარი გვეთქვა საბჭოთა ხელშეკრულებაზეო.

## კომინტერნის აღმასკომის მოწოდება მთელი ქვეყნის მუშებისადმი.

ინგლისის პროფკავშირთა გენერალური საბჭო და მაღაროს მუშათა ბელადების შორის მომხდარ შეთანხმების შესახებ კომინტერნის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: „მთელი რიგი გარემოებანი არწმუნებს კომინტერნს რომ ინგლისის მაღაროს მუშების გაფიცვები უდიდესი საშიშროების ქვეშ იმყოფება. 25 ივნისისათვის დანიშნული ტრედიუნიონების აღმასკომების კონფერენცია გადადებული იქნა გენერალურ საბჭოსთან შეთანხმებით. ამასთან ერთად მაღაროს მუშათა ბელადები დათანხმდენ აღარ გააკრიტიკონ გენერალური საბჭოს გამცემლური მოქმედება საყოველთაო გაფიცვების დროს“.

„ამით მაღაროს მუშების ბელადებმა დიდი საშიშროების წინაშე დააყენეს გაფიცვაო—ამბობს მოწოდება.

„გენსაბჭოსა და მაღაროს მუშათა ბელადებს შორის მომხდარი შეთანხმება, რომ გენსაბჭო მხარს დაუჭერს მთამადნელთა გაფიცვას, არის გენსაბჭოს მუშათა გამყიდველობის ახალი მანევრი. სმიტის განცხადებები უკანასკნელ ხანებში ორაზროვანია, სწორი არ არის აგრეთვე კუკის განცხადება, რომ გენსაბჭოსთან მომხდარი სხდომა იყოს „უდიდესი მნიშვნელობის სხდომა“.

„უკანასკნელ ხანებში გენსაბჭოს წევრებმა გაილაშქრეს კონსერვატორების გამოსვლის წინააღმდეგ რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში, მაგრამ ამ სიტყვებს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბატონ მაკდონალდის დიპლომატიურ გამოსვლებს პარლამენტში.

„ტრედიუნიონების აღმასკომის კონფერენციის გადადების ერთ მიზეზად, პროფკავშირების ერთიანი ფრონტის შექმნის საჭიროებაო, რომ მოგერიებული იქნეს კონსერვატორების გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ—განაცხადა კუკმა,—მაგრამ ვისაც სურს სერიოზულად აწარმოოს ბრძოლა ბირკენხედისა და ჩერჩილის წინააღმდეგ, მან პირველყოვლისა რეალური დახმარება უნდა აღმოუჩინოს ინგლისის გაფიცულ მუშებს.

დასასრულ კომინტერნის მოწოდება ინგლისის მუშებისადმი ამბობს:

„მზადდება ახალი გამცემლობა. მაღაროს მუშათა გაფიცვა საშიშროებაშია! შეებრძოლეთ მერყევ ელემენტებს! მოაწყვეთ მუშათა მასების პატიოსანი ბრძოლა კონსერვატორების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტაო.

საბჭოთა კავშირისა და მთელი ქვეყნის მუშებისაგან მოწოდება მოითხოვს გააძლიერონ ინგლისის გაფიცულ მუშების დახმარებისათვის შეწირულების შეგროვება.

## საფრანგეთის ახალი მთავრობა.

საფრანგეთში შესდგა ახალი მთავრობა. სათავეში ისევ ბრიანი მოექცა. ახალი პიროვნება ამ მთავრობაში არის ცნობილი კაიო. ის კვლავ ფინანსთა მინისტრია.

საფრანგეთი მეტად ღრმა ფინანსიურ კრიზისს განიცდის. ფრანკის დაცემამ არა ერთი და ორი მთავრობა გადააყირავა ძირს ამ ორი წლის განმავლობაში. რამდენი ფინანსთა მინისტრი გამოიცვალა ამ შედარებით მოკლე ხანში. მაგრამ არც ერთის „გენიამ“ არ უშველა დაავადებულ საფრანგეთის ფრანკს, ვინაიდან არც ერთ მათგანს ხელი არ უხლია მსხვილი კაპიტალისათვის. ყველა ისინი ლამობდენ ფინანსიური კრიზისის გადალახვას საფრანგეთის მშრომელთა ხალხის ზურგზე. ამ ცდას მხოლოდ მეტი მღელვარება და უკმაყოფილება მოსდევდა. ფრანკი მაინც განაგრძობდა დაღმართისაკენ სვლას.

ეხლა კაიოს ჩაბარდა ფრანკის ბედი. ის შარშანაც იყო ამ თანამდებობაზე. მაგრამ მისმა მეტის მეტ მემარჯვენეობამ ფინანსების განჯანსაღების საკითხში, გამოიწვია მისი დაცემა.

კაიო ერთ დროს, სახელდობრ იმპერიალისტური ომის ჟამს, მსხვილი ბურჟუაზიას ებრძოდა. ამისათვის საფრანგეთის კაპიტალისტებმა ის გამოაცხადეს სამშობლოს მოღალატეთ, გაასამართლეს და კიდეც მიუსაჯეს საფრანგეთიდან გაძევება. მაგრამ გადის დრო და იცვლება კაიოს პოლიტიკური სახეც. ერიოს მთავრობა მას იწვევს ფინანსთა მინისტრად. მაგრამ კაიო არ იზიარებს ძვალრბილა მემარცხენე ბლოკის ორჭოფულ პოლიტიკას. ის აშკარად გამოდის მსხვილი კაპიტალის ინტერესების დამცველის როლში. კაიო აპირებს ფრანკის განკურნებას არა მსხვილი კაპიტალის დაბეგვრის გზით, არამედ მუშების და გლეხების ხარჯზე. მემარცხენე ბლოკის მთავრობას ეს არ მოეწონა და ის მოიშორა.

ბევრი ეცადენ მის შემდეგ მემარცხენე ბლოკის მთავრობები ფრანკის განჯანსაღებას, მაგრამ ვერაფერი ვერ გახდენ. რაც დრო გადიოდა მემარცხენე ბლოკის მთავრობა უფრო და უფრო უახლოვდებოდა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს. და ამ ფინანსთა მინისტრის სავარძელში კვლავ „სასწაულთ მომქმედი“ კაიო ჯდება. მაგრამ კაიო ბრუნდება დიქტატურული უფლებებით. ის აყენებს წინასწარ პირობებს, რათა სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებათ დაყენებულ იქმნან მისი კანდიდატები. კაიო ერთ და იმავე დროს ფინანსთა მინისტრიც არის და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. კაიოს მიზანია პოლიციის და ხიშტების საშუალებით განამტკიცოს ფრანკი მშრომელთა ხარჯზე.

მაგრამ ეს არც ისე ადვილია, როგორც მას გონია.

საფრანგეთის პროლეტარიატი ხელებდაკრეფილი არ იქნება. ფაშისტურ ძალდატანებას ის დაუპირისპირებს თავისი ფოლადი რიგების ერთიან ფრონტს. და ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ საბოლოო გამარჯვება საფრანგეთის მუშათა კლასს დარჩება.

—ე.

## სავაჭრო ხელშეკრულება არ გაუქმდება, მაგრამ...

„ტასის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს თემთა პალატის დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მათი აზრით, საბჭოთა კავშირთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების საშიშროებამ განვლო, მაგრამ ჩერჩილი და მისი მომხრეები არ არიან კმაყოფილი იმ მდგომარეობით, რომელშიდაც იმყოფება საკითხი ამჟამად და შეეცდებიან მომავალში ამ ხელშეკრულების გაუქმებასო.

# საქართველოში.

## მიწის ძვრა

ახალციხეში 16 ღამით 3 საათზე ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწის ძვრას.

## ეკონომიის რეჟიმი და სასამართლოს ამოცანები*)

(დასასრული)

ამ მხრივ ჩვენ მრავალი ბრძანებები გვაქვს წითელი არმიის ხელმძღვანელ ორგანოებისაგან და საჭიროა რომ ეს ბრძანებები სისტემით იქნეს გატარებული ცხოვრებაში. სისხლის [illegible] ანგარიშში არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებასა და წარმოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ეკონომიის რეჟიმის ცხოვრებაში გატარება იმისაც გვასწავლის, რომ მიღწეული ეკონომიური ცხოვრებს, დავეპყროთ [illegible] რაც გვაქვს, ვინაიდან ყოველ-გვარი პირადი გამზრდის სახელმწიფო თანხისა, ამრიგადის ჩვენი ქვეყნის სამეურნეო შენებლობის საქმეს. არა ნაკლები ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ვიდრე გაფლანგველებს, ყველა მათ ვინც გულგრილად ეკიდება მათ დაკისრებულ მოვალეობას. სამუშაო საათების გაცდენა საბოტაჟად უნდა იქნეს გამოცხადებული, უსაქმოდ დროის დაკარგვა უაღრესად მავნე მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული ეკონომიის რეჟიმის გატარების საქმეში. ანგარიშების არევ-დარევა ჩვენ წარმოება-დაწესებულებებში ჰქმნის ისეთ პირობებს, რომელშიც ადვილად ხდება ყოველგვარი ბოროტმოქმედების ჩადენა. „[illegible]"-ო ეს სრული ჭეშმარიტებაა. მუშაობის და ანგარიშების არევ-დარევის [illegible] ბოროტმოქმედებას [illegible] და ასეთი არევ-დარევა [illegible] სამუშაო [illegible] უნდა [illegible] სრულის პასუხისმგებლობით, რომ [illegible]. ბრძოლა პირადად მფლანგველობასთან, „ლეგალურ-გაფლანგველობასთან" და სახელმწიფოსადმი გულგრილობა დაუდევრობასთან. აი ის სამი რამ რომელსაც უყენებს დღის წესრიგში სასამართლოს და პროკურატურას ეკონომიის რეჟიმის ცხოვრებაში მტკიცედ გატარების საქმე.

დ. ხიხაძე.

*) იხ. ჩვენი გაზეთის № 129

## ცვალებადელები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

**მე-4 ლეგიონი.**

ლეგიონიდან გამოგვყვეს 10 წითელ არმიელი ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გასამგზავრებლად.

გამოფენაზე მივედით 17 ივნისს. ექსკურსიაში მონაწილე წითელ არმიელები დიდი ყურადღებით ათვალიერებდენ სხვა და სხვა ფირმებისაგან გამოფენაზე წარმოდგენილ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. მანქანების მოხმარება და მათი მნიშვნელობა ჩვენი მეურნეობისათვის დაწვრილებით გაგვაცნეს. ჩვენც ვიწერდით ყველა ცნობებს, რომ გაგვეცნო ჩვენი ამომრჩეველი წითელ არმიელებისათვის ნაწილში უკან დაბრუნების შემდეგ.

ინსტრუქტორებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ კოლექტიური მეურნეობის წარმოება, რისკენაც მიისწრაფის საბჭოთა ხელისუფლება, მხოლოდ ასეთი მანქანების საშვალებით არის შესაძლებელიო.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე სახნავ, სალეწ, საფარცხავ, სათიბ, სანიავებელ და სხვა მანქანებმა. მეტად მოგვეწონა „ფორდზონის" ფირმის პატარა ტრაქტორები. „ზეიტცის" ფირმის ღვინის საწმენდი (ფილტრები) მანქანები და მრავალი სხვა.

წითელ არმიელების გარდა ამ ამბავს უამბობთ სოფელში დაბრუნების შემდეგ ჩვენს გლეხობას და გავაცნობთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მანქანებს ჩვენი მეურნეობის აყვავებისათვის.

ალ. გავაშელიშვილი.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### პროგრამა ასი პროცენტით იქნა შესრულებული.

**მე-4 ქარ. მსრ. ლეგიონი.**

წერტიდან ჩამოსვლის შემდეგ უჯრედმა განაახლა თავისი მუშაობა. პირველ ხანებში ძლიერ გვიშლიდა ხელს ათასეულის მოუწყობლობა, რადგან ლენკუთხეები და არც სხვა ბინები არ იყო. მოვაწყვეთ სამი ლენკუთხე, რომლებიც ხელსაყრელ ადგილზე არიან საუბრების ჩასატარებლად.

შემობის მოწყობისთანავე უჯრედმა შეიმუშავა, თანახმად ბიურო კოლექტივის თვიური გეგმისა ორკვირეული კალენდარი ცხრილი მაისის თვის და ერთ თვიანი კალენდარი ცხრილი ივნისის თვის, სადაც გათვალისწინებული იყო თითეული თვის სამუშაო გეგმა.

თვეში ოთხჯერ ვიწვევდით პარტკრებას, ერთხელ პარტ. ღია კრება, სადაც ირჩეოდა ჩვენი ყოფა-ცხოვრების საკითხები, ორჯელ ათასეულის საერთო კრებას სადაც ისმებოდა საკითხები ათასეულის ყოფა-ცხოვრებისა და ავიოქიმიისა და რემედასის შესახებ და სხვა.

უპარტიოთა შორის ლენკუთხეში სწარმოებდა საუბრები და გაზეთის კითხვა ყოველ დღიურად; მეცადინეობაში ჩაბმული იქნა ახალწვეულების უმრავლესობა.

უპარტიოთა მასის შესასწავლად და გაასაქტივებლად შემოღებულია ინდივიდუალური მიმაგრების მეთოდი. უჯრედს აქვს კავშირი ქ. გორის სახერხ ქარხანასთან, სადაც სისტემატიურად ესწრება მიმაგრებული ამხანაგი.

უჯრედი ხელმძღვანელობს აგრეთვე ნაწილის ახკომკავშირის ჯგუფს; უჯრედთან ერთად მუშავდება კრების დღის წესრიგი და სხვა და სხვა საუბრები.

კრებები ყოველთვის დანიშნულ დროზე ხდება და პარტ ამხანაგები საკმაოდ აქტივობას იჩენენ. კალენდარულ ცხრილში გათვალისწინებული სამუშაო საქმეები უჯრედმა შეასრულა 100 პროც.

მომავალში სამუშაო პირობები უფრო უმჯობესდება და უფრო მეტ ნაყოფსაც მივიღებთ.

ლავრო.

## სკოლა ენერგიულად მეცადინეობს

**მე-6 ლეგ. 5 და 6 ასეულების ახკომკავ. სკოლა.**

ასეულები შეერთებული არიან ერთ ახკომკავშირელთა სკოლაში, რომელსაც საკმაოდ მომზადებული და ენერგიული ხელმძღვანელი ყავს. მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად, ყოველ შაბათობით. სკოლაში შემდგარია ცალკე ჯგუფები, თითეულ მათგანს ყავს თავისი ხელმძღვანელი. ჯგუფებს დასამუშავებლად ეძლევათ სხვა და სხვა თემები, რასაც დიდი ნაყოფიერებით ასრულებენ ამხანაგები.

ყოველთვის კარგად მომზადებული გამოდიან ამა თუ იმ თემების გაშუქების დროს; კამათში ყველანი ღებულობენ მონაწილეობას და იჩენენ თავის მომზადებას სხვა და სხვა საკითხების გამორკვევაში. თუ ასე გაგრძელდა მუშაობა სკოლა მალე მიაღწევს თავის მიზანს და შესაფერად მომზადებულ ახკომკავშირელებს მისცემს პარტიას.

ბ. მეფარიშვილი.

## ივნისი თავდება!

## დააჩქარეთ ხელის მოწერა „წითელ არმიელზე"

## ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

ბრძოლას არასდროს არ აწარმოებს ქვეითი ჯარი; მას უხდება მოქმედება ყოველთვის სხვა სახის შეიარაღებულ ჯარებთან ერთად, რომლებიც გზას უწალდავენ და ზურგს უმაგრებენ მას. არტილერია თავისი ცეცხლით გზას უკაფავს ქვეითა ჯარს და მეორე მხრივ საშუალებას არ აძლევს მოპირდაპირის არტილერიას ცეცხლის რკალში მოაქციოს ქვეითი ჯარი.

საინჟინერო ნაწილები ამზადებენ ხიდებს სხვა და სხვა გვარ შეიარაღების ნაწილების გადასასვლელად, და უკან დახევის დროს კი აფეთქებენ მათ. საკავშირო ნაწილები კი აკავშირებენ ერთმანეთს ფრონტზე მომქმედ ყველა სახის ნაწილებს. ამავე დროს ქვეითი ჯარი იცავს არტილერიას, საკავშიროელებს, საინჟინერო ნაწილებს, რომლებსაც ისე არ შეუძლიათ იმოქმედონ ახლო მანძილზე ბრძოლის დროს, როგორც ქვეითა ჯარს აქვს უნარი და შესაძლებლობა. ასეთი ურთიერთ დახმარებას და მოხერხებული შეთანხმებას ყველა გვარ ნაწილებს შორის ისე, რომ ერთმანეთის დახმარებით აჩქარებდენ და უზრუნველყოფდენ გამარჯვებას, ეწოდება ურთიერთშორის საბრძოლო მოქმედება და დახმარება.

უმთავრესი რაც საჭიროა კარგი საბრძოლო ურთიერთ-მოქმედებისათვის, არის იმ სახის შეიარაღების თავისებურების შესწავლა, რომელთანაც მოგვიხდება მოქმედება და ვიცოდეთ რით იქნება ის ჩვენთვის გამოსადეგი.

მაგალითად, შეუძლებელია დახმარების იმედი გვქონდეს არტილერიისაგან იმ დროს, როდესაც საგრძნობლად მიუახლოვდით უკვე მოწინააღმდეგეს. ამ დროს არტილერიას გადააქვს თავისი ცეცხლი მოპირდაპირის პოზიციის წინა ხაზიდან ზურგისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში არტილერია გაანადგურებს ისევ თავისიანებს. ან და შეუძლებელია იმედი გვქონდეს ამ დროს მესანგრეებზე, რომ ისინი დაგვიმზადებენ სანგრებს. სანგრების საერთო სახე თვით ქვეითა ჯარმა უნდა შეამზადოს, მხოლოდ ამის შემდეგ დაამზადებს მესანგრე ნაწილი სანგრებში ცალკე სპეციალურ ნაწილებს. რადგან მესანგრეებს ევალებათ უმთავრესად გზების და ხიდების გაკეთება.

ასევე საჭიროა ვიცოდეთ სხვა სახის შეიარაღებულ ნაწილებმა, როდის და რაში გამოვადგებით ჩვენ (ქვეითი ჯარი) მათ. ამისათვის კი საჭიროა გავაცნოთ ისინი ჩვენს მუშაობას. მათი მუშაობის შესწავლის დროს უნდა გავაცნოთ მათ ჩვენი მუშაობაც, თუ როგორ ვმოქმედობთ ჩვენ და რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ მათთვის ბრძოლის დროს.

საბრძოლო ურთიერთ მოქმედებას და დახმარებას, მის შესწავლას და გაუმჯობესებას უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ჟამად თითეულ მხედარმა, და პირველ რიგში ასეთი შეიარაღებას ჯარების გაერთიანებულ მოქმედების შესახებ სამხკორი უნდა გვაწვდიდეს ცნობებს რედაქციაში.

ვ.

## მანევრები სამხედრო სწავლების განმამტკიცებელია

საბრძოლო მანევრი—ნიშნავს იმას, რომ გამოვიყენოთ ბრძოლის ყოველგვარი პირობები ჩვენს სასარგებლოდ, ბრძოლის პირობებთან შეგუების ცოდნას, მდგომარეობის შეფასების უნარის გამოჩენას და ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უფრო ჩქარა უზრუნველყოფენ გამარჯვებას.

ბრძოლის დროს მოხერხებული მანევრის შესრულება ნიშნავს იმას, რომ საყურადღებო მომენტსა და ადგილზე აღმოჩნდე მტერზე ძლიერი, რომ იქნეს შესაძლებლობა უდიდესი წარმატების მიღწევისა და მტრისათვის უდიდესი განადგურების მიყენებისათვის.

მტერზე იერიშის მიტანის დროს თითეული ნაწილი ითვალისწინებს მოპირდაპირის ძალებს, მის ადგილმდებარეობას, შეიარაღებას, გამაგრებას, ითვალისწინებს ადგილმდებარეობას და ამისდა მიხედვით აწარმოებს შეტევას. ხან პირდაპირ გადადის შეტევაზე, ხან უვლის რომელიმე ფრთით, ხან აწარმოებს შეტევას ერთ ადგილზე და იტყუილებს მტერს შეტევისათვის მეორე ადგილზე. ბრძოლის მთელი ხნის განმავლობაში მოპირდაპირეც აწარმოებს ასეთ მანევრებს, სცვლის თავისი ძალების ადგილმდებარეობას, აძლიერებს მათ ერთ ადგილზე, ასუსტებს მეორეზე და ასე შემდეგ. მოწინააღმდეგის ასეთი მოქმედების მიხედვით შეტევაზე გადასული ნაწილი ისევ აკეთებს მანევრებს ბრძოლის დროს,—ე. ი. სცვლის შეტევაზე გადასვლის წესებს, რომ ხელ-ახლა მოხვდეს უფრო ხელსაყრელ პირობებში მტერთან შედარებით.

სწავლების დროს, წითელი არმიის ყველა ნაწილები გადიან სამოსწავლო მანევრებზე. სამოსწავლო მანევრის მიზანია სწავლების განმტკიცება მეომარში, მათი ცოდნის შემოწმება პრაქტიკაში, ბრძოლაში და ხელოვნურ საბრძოლო პირობებში.

სამოსწავლო მანევრებზე ნაწილები გადიან საბრძოლო წესით, ხელოვნურად იქმნება საბრძოლო პირობები და ნაწილი ასრულებს მოცემულ ამოცანებს.

ასეთი სახის მანევრები ამჟღავნებს ნაწილის საბრძოლო პირობებისათვის მომზადებას და ამიტომ მოითხოვს თითეულ მეომრისაგან შეგნებულად მოპყრობას ყველა დავალებების ასრულებას, რომ ბრწყინვალედ იქნეს დაბოლოვებული მანევრი.

ზ.

## ვემზადოთ კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის.

3 ივლისს მშრომელთა მთელი მოწინავე მსოფლიო იდღესასწაულებს კოოპერაციის საერთაშორისო დღეს. რომ ღირსეულად იქნეს ჩატარებული ეს დღესასწაული, საჭიროა წინასწარ მოვემზადოთ ამისთვის შესაფერად. საბჭოთა კოოპერაციამ ისე უნდა აღნიშნოს ეს დღე, რომ მან პირველ რიგში საგრძნობი კვალი დასტოვოს ჩვენს კოოპერაციის აღმშენებლობაში სოფლად. ამიტომ ამ დღისთვის გატარებული უნდა იქნენ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ კოოპერაციის განმტკიცებას და მის შემდეგ განვითარების საქმეს.

კოოპერაცია მხოლოდ მაშინ განვითარდება წარმატებით, როდესაც მისი მუშაობა დაემყარება მოსახლეობის თვითმოქმედებას, როდესაც მის საქმიანობაში უშვალო მონაწილეობას მიიღებს თვით მოსახლეობა; ამიტომ კოოპერაციის დღე უნდა გადაიქცეს ფართო საზოგადოებრივი თვითმოქმედების გამოჩენის მიზეზად. დღესასწაულისათვის სამზადისში მიზიდული უნდა იქნენ მოსახლეობის ფართო წრეები—აქტიური გლეხობა, საბჭო, ადგილობრივი უჯრედი, ახკომკავშირი და სხვა.

კოოპერაციის დღეს პირველ ყოვლისა საჭიროა ყველასათვის დღის სინათლეზე იქნეს გამოტანილი კოოპერაციის მუშაობა; ამ მიზნით საჭიროა შედგენილი იქნეს კოოპერაციის მუშაობის ანგარიში, რომელშიაც დაცული იქნება თვალსაჩინოება, დიაგრამების და სხვათა სახით. კარგი იქნება აგრეთვე თუ ეს ანგარიში მოკლედ მოთავსდება ადგილობრივ კედლის გაზეთში.

კოოპერაციის დღეს გადაშინჯული უნდა იქნეს თითეულ კოოპერატივის წარსული მუშაობა.

უნდა გავითვალისწინოთ თუ რამდენად აკმაყოფილებდა კოოპერატივი მოსახლეობის მოთხოვნილებას, უნდა გამოაშკარავდეს კოოპერაციის ყველა ნაკლულევანებანი და მტკივნეული ადგილები, რომელთა წინააღმდეგ წარმოებული უნდა იქნეს დაუზოგავი საზოგადოებრივი ბრძოლა. მთელი ყურადღება შეჩერებული უნდა იქნეს ხარჯვაში მომჭირნეობის დაცვაზე, ზედნადები ხარჯების შემცირებაზე, კოოპერაციის მმართველობისა და მისი მუშაკების გაუმჯობესებაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს სარევიზიო კომისიებმა, მეთვალყურე საბჭოებმა და კოოპერაციის სხვა საკონტროლო ორგანოებმა, რომლებიც მოხსენებებით უნდა გამოვიდენ კოოპერაციის დღეს ამის შესახებ, ფართო საზოგადო კრებებზე.

მესამე—კოოპერაციის დღეს უნდა მოეწყოს ახალი წევრების მიზიდვა კოოპერაციის შემადგენლობაში. ამ მიზნით დარიბთათვის, რომლებსაც სურთ კოოპერაციის წევრობა, მაგრამ არა აქვთ სახსარი, შემოღებული უნდა იქნას შეღავათები, საპაიო და წევრად შესვლის გადასახადების ნაწილობრივ, შეტანის სახით.

ერთი უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ჩვენი კოოპერაციის მოქმედებას, განვითარებას, არის ის, რომ მას არ მოეპოვება საკუთარი საშვალებანი; კოოპერაციის დღეს ამაზედაც უნდა ვიზრუნოთ, მივიზიდოთ მოსახლეობის საშვალებანი კოოპერაციაში; ამის განხორციელება შეიძლება ნაწილობრივ საპაიო გადასახადის გადიდების გზით და აგრეთვე გადაუხდელ საპაიო გადასახადის შეგროვებით.

მეოთხე—კოოპერაციის დღე უნდა აღინიშნოს სასოფლო მეურნეობაში გაუმჯობესების შემტან ახალი დაწესებულების გახსნით ან რაიმე პრაქტიკული საქმის შესრულებით. მაგალითად შეიძლება ამ დღისთვის მოეწყოს საჩვენებელი ადგილი, გასაქირავებელი ადგილი, დასამაკებელი ადგილი, სამანქანო ამხანაგობის ორგანიზაცია, საკონტროლო კავშირი, ზეთის არტელების, კოოპერატიული წისქვილი და სხვა.

დღესასწაულისათვის წინასწარ მომზადებისა და შემდეგ მისი ჩატარებისათვის წარმოებული მთელი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ იმ ანგარიშით, რომ რაც შეიძლება მოსახლეობის მეტი რაოდენობა იქნეს ამ საქმეში მიზიდული და განსაკუთრებით კი სოფლის უღარიბესი და საშვალო გლეხობა და მისი თვითმოქმედების განვითარება.

გ. ო.

# [ც]ვალებადელთა სწავლება და ცხოვრება

## [გა]ვაცილეთ ცვალებადელების პირველი რიგი.

მე-4 ლეგიონი.

ცვალებადელების პირველმა [ნაკ]ადმა (1902 წ. დაბ.) დაამ[თავ]რა სამსახური. ერთი თვის [გ]ანმავლობაში, რომელიც მათ [ბ]ანაკებულებაში იყო არაჩვეულებრივი ისინი ნაყოფიერებით აწარმოებდენ მუშაობას. შეითვისეს სამხედრო საქმის უმთავრესი საფუძვლები, გაიწვრთნენ სროლაში, პოლიტიკურად და რაც უმთავრესია კარგად შეეწყვენ ყაზარმასა და მის ცხოვრებას.

ერთი თვის განმავლობაში დიდი მუშაობა იქნა მათში ჩატარებული. ტერიტორიალური სისტემის მთელი მნიშვნელობა აშკარად გამოჩნდა ამ მეცადინეობის დროს.

ამხანაგების გაშვება მოხდა 16 ივნისს. გაშვებამდე წაყვანილი იქნენ ექსკურსიაზე მახლობელ ისტორიული ადგილის დასათვალიერებლად. იქედან ჩამოსვლის შემდეგ ლეგიონმა გამართა გამოსამშვიდობებელი საღამო.

ამხანაგების მთელმა რიგმა მიულოცეს ცვალებადელებს, რომ მათ პირნათლად შეასრულეს დავალებები და იმედი გამოსთქვეს, რომ ნაწილში დაწყებულ მუშაობას მხნედ გააგრძელებენ სოფლებშიც.

შემდეგ ამხანაგები მუსიკით გავაცილეთ სადგურამდე. იქაც გაიმართა გამოსამშვიდობებელი სიტყვები.

საპასუხო სიტყვებში მიმავალ მოლაშქრეებმა აღუთქვეს მეთაურებს, რომ გააგრძელებდენ სოფლად მუშაობას და მეორე მხრით მზად იქნებიან საჭიროების დროს იარაღით ხელში დადგენ წითელი ჯარის რიგებში მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასაცავად.

ა—ი.

## ცვალებადელები —რემედას და ავიოქიმის წევრები.

მე-5 ლეგ. საკავშირო ასეული.

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა ხსენებულ ასეულის ცვალებადელთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება რემედასისა და ავიოქიმის მნიშვნელობის შესახებ. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელარმიელებში.

კრების დასრულების შემდეგ ერთხმად განაცხადეს სურვილი აღნიშნულ ორგანიზაციებში წევრებად ჩაწერის შესახებ. ამავე დღესვე ჩაეწერა ნაწილის ცვალებადელთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

აღნიშნულ უჯრედებს ყავს საკმაოდ ენერგიული ხელმძღვანელები, რომლებიც შესაფერ მუშაობას აწარმოებენ და ეწევიან აგიტაციას წევრთა რიცხვის გამრავლების მიზნით.

კ. გოგინავა.

## თვითგანვითარების საღამოები ჩვენთან.

მე-2 მესანგრეთა ასეული.

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა ნაწილის ცვალებადელებში სკოლის გარეშე მუშაობას. მუშაობისათვის ნაწილში არსებულ სხვა და სხვა ორგანიზაციებსა და წრეებს დაემატა პოლიტლატარეა, რაც მეტად დიდ ინტერესს იწვევს წითელარმიელებში.

ლატარეა ხშირად იმართება და გარდა პოლიტიკური ხასიათის საკითხებისა აგრეთვე შეგვაქვს შიგ სამხედრო და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ნაწილის მუშაობიდან. ერთგვარი შეჯიბრის ხასიათი ეძლევა ლატარეას ყოველთვის. წითელარმიელები მონდომებული არიან სწორი პასუხი გასცენ ამოღებულ ბილეთებზე. ემზადებიან წინასწარ, იმეორებენ განვლილ საუბრებს, საგნებს და სათანადო მომზადებით ღებულობენ ლატარეაში მონაწილეობას. წახალისების მიზნით კარგ მოპასუხეებისათვის შემოღებულია საჩუქრები.

საერთოდ ლატარიების დროს 60—70 პროცენტი კარგად იძლევა შეკითხვებზე პასუხებს, დანარჩენები კი დამაკმაყოფილებლად და ცუდათ არც ერთი.

ცვალებადელების მომზადება ამნაირად საკმაოდ შევსძელით. იმედი გვაქვს, რომ აქ მიღებულ ცოდნას კიდევ უფრო ნაყოფიერად გამოიყენებენ ისინი სოფელში დაბრუნების შემდეგ.

შუქი.

# ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲜᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ.

## მუშაობა ჩვენთანაც გაჩაღდა.

1-ლი ლეგ. 9 ასეული.

ბანაკში გამოსვლის დღიდან ჩვენი ასეულიც გულმოდგინეთ შეუდგა პრაქტიკული მეცადინეობის წარმოებას.

აღსანიშნავია განსაკუთრებით სამხედრო მეცადინეობა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს. ხშირად გავდივართ სროლაში ვარჯიშისათვის, რაშიაც დიდ აქტივობას იჩენენ წითელ-არმიელები.

გაძლიერებულ სამხედრო მეცადინეობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სკოლის გარეშე მუშაობასაც. არც ერთი საღამო არ სცდება ტყუილა. ყოველთვის მიმდინარეობს საუბრები ამა თუ იმ თემებზე.

მხედარი.

## ჩვენი თვითმოქმედი ორგანიზაციები.

1-ლი ლეგიონის სამნეო გუნდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხვა და სხვა უჯრედების მუშაობას. არსებობს რემედასის უჯრედი, სადაც იმართება საუბრები რემედასის მნიშვნელობაზე. არ იყო ცნობათა ბიურო და ავიოქიმის უჯრედი.

19 ივნისს გუნდის გაერთიანებულ კრებაზე მოვისმინეთ მოხსენება მათ მნიშვნელობის შესახებ. ავირჩიეთ ორივე უჯრედის ბიუროები, რომელთაც მიეცათ სათანადო დირექტივები მომავალ მუშაობისათვის.

კ. მინდიაშვილი.

## სამხედრო სწავლება კარგად მიმდინარეობს.

1-ლი არტლეგიონი.

ბანაკში გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს ჩვენი ლეგიონი. ამოქმედებულია ყველა ორგანიზაციები და წრეები. ლენკუთხეებში სისტემატიურად მიმდინარეობს საუბრები, სოფლებთან დაახლოებასა და მათთან მუშაობის ჩატარების შესახებ. ყოველ საღამოობით სწარმოებს აგრეთვე წრეების მეცადინეობა.

წითელ არმიელები მალე შეეჩვიენ ბანაკს. სამხედრო ხასიათის მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს. მოლაშქრეები დიდ ინტერესს იჩენენ საველე მუშაობაში. სიხარულით გადიან მანევრებზე და ენერგიულად ასრულებენ ყველა დავალებებს.

საბანაკო მეცადინეობას დიდი წარმატებებით დაამთავრებს ნაწილი. ამის თავდებია გაჩაღებული მუშაობა.

ვ. გორგაძე.

## ღამის მანევრებზე.

მე-2 ლეგ. მე-2 ათასეული.

ამ რამოდენიმე დღის წინად ჩვენი ათასეული გაემგზავრა ღამის მანევრების ჩასატარებლად სოფ. №-საკენ.

დაიყო ნაწილი მომგერიებელ და შემტევის მწარმოებელ რაზმებათ. არჩეული იქნენ მზვერავები და ყველანი შეუდგენ სათანადო სამზადისს. უმცროს მეთაურებს მიეცათ შესაფერი ამოცანები და დაიწყო ნამდვილი საბრძოლო წესით მოძრაობა.

ამოცანებს ყველანი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდენ. წითელარმიელებმა იშვიათი გამძლეობა და გულისყური გამოიჩინეს.

როგორც შემტევი, ისე მომგერიებელი ნაწილები წარმატებით აწარმოებდენ ოპერაციებს.

საერთოდ კი მანევრები ძლიერ ნაყოფიერად იქნა ჩატარებული.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მოხდა შესრულებულ ოპერაციების განხილვა. გაითვალისწინეთ დაშვებული შეცდომები და მიღწევები, რომლებიც გამოყენებული იქნება მომავალი მეცადინეობისათვის.

კვაჭაძე.

## ჩვენც გულდასმით ვმუშაობთ.

მე-2 ლეგ. მე-3 ასეული.

ლეგიონმა ჩვენი ასეული დასტოვა ყაზარმებში. მიუხედავად იმისა, რომ დავცილდით ნაწილს, ასეულში მაინც არ შეფერხებულა სხვა და სხვა ხასიათის მუშაობა. ყოველ სამ დღეში გვიხდება განწესებაში გასვლა. დანარჩენ დროს კი ვანდომებთ სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობას. ვმუშაობთ შეძლებისდაგვარად, რამდენადაც ამის საშვალებას გვაძლევს დრო და ასეულში დარჩენილი სპეცები და კულტურულ-პოლიტიკური ძალები.

წითელარმიელები სულ იმის ცდაში არიან, რომ არ ჩამორჩენ ცოდნის მიღებაში ბანაკში გასულ ამხანაგებს. მეთაურებიც არ იშურებენ ენერგიას და მონდომებას.

11 ივნისს ბათომის გარნიზონში მოხდა განგაში. ჩვენი ასეული მზად იყო 7 წუთის განმავლობაში. ასეულმა ისეთი სისწრაფით ჩაატარა საომრად აბჯრის ასხმა და დანიშნულ ადგილზე გამოცხადება, რომ გაკვირვებული დარჩა გარნიზონის უფროსი.

ასეულის მთელი შემადგენლობა ენერგიულად ეკიდება ყველა დავალებების შესრულებას.

ისარი.

## სამხკორო!

**თვალყური ადევნე:**

**როგორ მიმდინარეობს შენი ნაწილის სამეურნეო ცხოვრება, როგორი სადილი მზადდება, როგორ ულიან წითელ არმიელებს ტანსაცმელს, იარაღს, ფეხსაცმელებს, ხომ არა აქვს რაიმეა დგილი ზედმეტ ხარჯებს.**

## ასე ვმუშაობთ.

მზე ახალი ამოსული იყო. მისი სხივები ნაზად ეალერსებოდნენ მწვანით შემოსილ მთის ფერდობებს. მახლობელ ტყიდან მოისმოდა ახლად გაღვიძებულ ფრინველთა ჟივილ-ხივილი და ხევში ჩამომდინარე პატარა მდინარის ნელი ჩუხჩუხი.

მხიარულებას მოეცვა ბუნება: ყველგან სიცოცხლე, მზადება დღიურ შრომისათვის. ტყის გვერდით მდებარე ბანაკი ჯერ ჩუმად არის. ისვენებენ წითელი მოლაშქრენი. მათ გუშინ დიდი შრომა გასწიეს; მთელი დღე მინდვრათ იყვნენ სამეცადინოთ და აი ეხლა იკრეფენ ძალას მუშაობის გასაგრძელებლად. მაგრამ გაისმა ბუკის ხმა და უცბად შეინძრა ბანაკი. ანაზდეულად გაცოცხლდა იგი.

გაისმა ბრძანება, სიცილი, ჟრიამული.

— ჰა, ნუ გეზარება ადგომა. გაიხედე გარეთ რა ამბავია, ბიჭო, ამას დახე, საბანშიაც რომ ძვრება. ადექი, თორემ წყალს გასხურებ—ემუქრება არმიელი თავის ამხანაგს, რომელსაც ჯერედ ძილი არ დაუსრულებია და უნდა ნებივრობა ლოგინში.

— ვენაცვალე ამ ბუნებას, ცხონებაა პირდაპირ აქ ცხოვრება მთა, ტყე, ველი, წყალი, ყველაფერი აქ არის—აღფრთოვანებით იძახის მეორე არმიელი და უშვერს გრიალ ნიავს თავის ტიტველა მკერდს.

— გაიხედე, ბიჭო, როგორ ელვარებს მზის სხივებში აი მაღალი მთა, თოვლით შელესილი, ნეტავ რა ჰქვიან სახელად?

— რომელს? აი მაღალ მთას? ბრუტ-საბძელაა. არ წაიკითხე ამას წინათ გაზეთებში რო ეწერა მაგ მთაზე! ამ ზაფხულს ემზადებიან მაგ მთის მწვერვალზე ასასვლელად, უნდა გამოიკვლიონ ბუნების ზოგიერთი მოვლენები.

ბუკის მაღალმა ძახილმა შეაწყვეტინა საუბარი არმიელებს.

ამოკითხვა დაიწყო.

— აქ მგონი კარგი იქნება, მყუდრო ადგილია და ჩრდილიც არის.

— კარგი იქნება, ამხანაგო პოლიტხელო-დასთანხმდენ წითელი არმიელები და მოეწყვენ სამეცადინოთ მწვანე ბალახზე. მოიმარჯვეს რვეულები და ფანქრები შენიშვნების აღსანიშნავად.

მეცადინეობა ჩვეულებრივ მიმდინარეობდა.

წითელ არმიელნი გაფაციცებით უგდებდენ ყურს პოლიტხელის ყოველ ნათქვამ სიტყვას. თუ შეხვდებოდათ რაიმე გაუგებარი აზრი, სთხოვდენ განმარტებას.

— ხომ მიხვდით, ამხანაგებო, ყველაფერს? ხვალ რომ გკითხოთ, შეგეძლებათ გამიმეოროთ დღევანდელი ნათქვამი?

— მივხვდით, მივხვდით, ამხ. პოლიტხელო, გაისმა პასუხი.

— ამხ. იასონ, რას ჩაფიქრებულხარ, იქნება გეძნელება გაკვეთილის გაგება?

— არა, ამხ. პოლიტხელო, ყველაფერი გავიგე, მხოლოდ ერთი რამე მაწუხებს: სულ შეგნებული მაქვს დღევანდელი ნალაპარაკები, მაგრამ ვერ შემიძლიან ჩემი სიტყვით გადმოცემა.

— არა უშავს რა, იასონ, იკითხე წიგნები და ენას გაიტეხავ, მაგ ნაკლის გამოსწორება შეიძლება.

გაიმართა ბაასი პოლიტხელსა და არმიელების შორის. ბაასობენ ამხანაგურად: ზოგი უამბობს სახლის ამბავს და შესჩივის თავის დარდს, ზოგი კი სარგებლობს პოლიტხელის ახლო ყოფნით და ჰკითხავს რჩევა-დარიგებას.

——

სიმღერით:

„ძველი ქვეყანა ინგრევა სრულად,
ჩვენ სიხარულით უმზერთ ნაპრალებს“...

გაემართნენ არმიელნი სამეცადინოთ მინდვრისაკენ.

მიდიან მამაცად, მტკიცე ნაბიჯით და სიმღერის მკვეთრი ხმით ამხიარულებენ არე-მარეს.

„ამხანაგებო აენთეთ ცეცხლით, გველის ახალი ბარიკადები“—გუგუნებს წითელ არმიელნი და მწვანით შემოსილ მთა აძლევს ბანს.

— დახე, რა ბიჭები არიან—იძახის გლეხი—სად შეაგროვეს ასე ყველა ერთი სიმაღლის?

— კაცო, ქიტესა, აი ის, მხარზე რომ რაღაც დიდი თოფი აქვს გადებული, ჩვენი მიხას ბიჭი არ არის? ნახე და როგორ კოხტათ მიაბიჯებს.

— რა ვიცი, შვილოსან, სოფელში რომ იყო, სიცოცხლე ეზარებოდა, და ეხლა კი ყველაზე თამამად ეგ მიდის.

— ეგრე იცის ყაზარმამ, იქ, ძმაო, სიზარმაცე არ გამოდგება, უნდა სიარულიც ისწავლო და თოფის სროლაც. მაშ, სამხედრო სამსახური ხუმრობა ხომ არ გგონია.

——

არმიელნი გაიშალნენ მინდვრათ.

სამუშაო ბევრი აქვთ.

მეთაურნი მათთან არიან. ასწავლიან ბრძოლის წესებს, უხსნიან, თუ როგორ უნდა შეტევა, ხელ-ჩართული ბრძოლა, მოგერიება. ყველაფერს ეცნობიან ჩვენი მებრძოლნი: ბრძოლას მოზხამულ ჰაირებთან, ჰაეროპლანებთან.

არ ეტყობათ დაღლა.

რომ დაიღალნონ კიდეც, არ ისურვებენ დასვენებას, სანამ საქმე მოთავებული არ იქნება.

იციან, რომ რასაც სწავლობენ, საჭიროა მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

——

„ლამაზი ცოლის პატრონსა, უნდა ჰყავდეს ძაღლი ფრთხილი,
ან უნდა ძაღლი ფხიზლობდეს
ან და ქალის დედამთილი“—

მოისმის ბანაკიდან ლამაზი შემოძახილი.

მოათავეს არმიელებმა დღიური სამუშაო.

ყველა კმაყოფილია. ნაყოფიერი იყო დღევანდელი დღე.

ეხლა ისვენებენ, მხიარულობენ და ხვალ კი შეუდგებიან ისევ სწავლებას.

ე. ხუციშვილი.

## სამხედრო კუთხე

## სამხედრო და სამხედრო საიდუმლოება.

მალე დაიწყება ჩვენი ჯარის ნაწილების საერთო მანევრები. ეს პერიოდი წარმოადგენს გამოცდას, მასთან დაკავშირებით დიდი და საკმაოდ სერიოზული ამოცანები იჰრება სამხედრის წინაშე.

ეს ამოცანები მდგომარეობენ იმაში, რომ სამხედრო, როგორც უფრო შეგნებული მეომარი, უფრო განვითარებული და სამაგალითო მხედარი, უნდა იქნეს მაგალითის მაჩვენებელი ლაშქრობის დროს გამძლეობის გამოჩენასა, საყარაულო სამსახურის ცოდნასა და შესრულებასა და სამხედრო საიდუმლოების დაცვის საქმეში.

ხშირად შეხვდებით ზოგიერთ წითელ არმიელებს, რომლებიც სრულიად უცნობ ხალხს გულუბრყვილოდ მოუყვებიან, თუ სად მსახურობს, რომელ ასეულს ეკუთვნის, რამდენი წითელ არმიელია სულ ასეულში, როგორი და რამდენი იარაღი აქვთ, ვინ არიან მათი უფროსები და მრავალი სხვა.

ხშირად გასანდოსაც კი გაუმხილენ ხოლმე უცნობ პირებს.

როგორი შედეგების წინაშე დავდგებოდით ასეთი შემთხვევის დროს ნამდვილ საბრძოლო პირობებში? რა თქმა უნდა კარგს ვერაფერს მივიღებდით.

როდესაც ჩვენ შევასრულებთ ყველა წესდებაში აღნიშნულ სავალდებულო წესებს—ჩვენ გვექნება მაშინ მტკიცე და ჯანსაღი დისციპლინა, ამაზე კი დამოკიდებულია წითელ არმიის საბრძოლო უნარიანობა.

სამხედრომ არა თუ თვითონ უნდა დაიცვას სამხედრო საიდუმლოება, არამედ უნდა დაარწმუნოს ამაში თავისი ამხანაგები სიტყვით და საქმით, რომ მანევრების დროს ფრთხილად იყვენ, როგორც ეს შეეფერება ნამდვილ საბრძოლო პირობებს.

მანევრებზე გასვლის წინ ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა სამხედრებმა.

შ.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### მოგვეცით წყალი.

მე-2 ლეგიონის წითელარმიელებს არა გვაქვს წყალი. პრაქტიკული მეცადინეობის დროს საშვალება არა გვაქვს, რომ ვიშოვოთ წყალი. ბანაკში გამოყვანილი ერთი წყალსადენის მილი ვერ აკმაყოფილებს ყველას მოთხოვნილებას. წითელარმიელები ხშირად უწყლოდ რჩებიან მთელი დღის განმავლობაში. მიიღეთ ზომები. მოგვეცით წყალი.

ბ. კვაჭაძე.

### ავადმყოფებს არა აქვთ ადუღებული წყალი.

ტფ. სამხედრო გოსპიტალის 1-ლ კორპუსის 1-ლ პალატაში ავადმყოფ წითელარმიელებისთვის არ არის ადუღებული წყალი. ხმარობენ მოუხარშავ წყალს, რასაც შეუძლია უფრო გაართულოს ავადმყოფების მდგომარეობა. თუ გოსპიტალის სხვა პალატებში გამოულევლად არის ადუღებული წყალი, რა დააშავა 1-ლმა პალატამ?

საჭიროა მოვაქციოს ყურადღება სამნეო ნაწილმა.

კაჟი.

### უსუფთაობას ბოლო უნდა მოეღოს.

ტფილისის სამხ. საავადმყოფოში არის ისეთი სამორიგო ოთახი, სადაც შეუძლებელია კაცის გაჩერება. ამის შესახებ ერთხელ კიდევაც მოვათავსეთ წერილი გაზ. „წითელ არმიელში", მაგრამ საავადმყოფოს მესვეურებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ამ ნაკლის გამოსწორებას. ოთახში საშინელი სიბინძურეა. არავინ ყურადღებას არ აქცევს მის დასუფთავებას. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე?

დროა ბოლო მოეღოს სამორიგეო ოთახში უსუფთაობას. დაუშვებელია, რომ საავადმყოფოში ჰქონდეს ამას ადგილი.

წურწუტა.

## ქიმია პრაქტიკულ ცხოვრებაში.

**სისხლის ლაქების ამოცლა.**

სისხლის ლაქების ამოსაცლელად ტანსაცმელიდან შეუძლებელია საპნის ხმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ლაქა დიდი ხნით ჩარჩება ქსოვილში.

ლაქები მხოლოდ მაშინ გაქრებიან, თუ ნელთბილ წყალში გავხსნით ერთ ჩაის კოვზ ღვინოქვიან სიმჟავეს და ამ ხსნარში დავასველებთ სისხლით გასვრილ ადგილს. რომ კარგად გაიჟღინთოს მატერია ხსნარით სტოვებენ მასში რამოდენიმე ხანს, შემდეგ მას გარეცხენ ამავე ხსნარში და დასასრულ კი სუფთა ცივ წყალში. ლაქა სრულიად ქრება.

**ქეჩის შეღებვა შავად.**

ამ მიზნით წყლის მცირე ნაწილში ადუღებით აზავებენ 400 გრამ ორ ქრომოკალიუმის მარილს, 1.200 გრ. ღვინოქვის სიმჟავეს და 200 გრამ ტექნიკურ გოგირდის სიმჟავეს. მიღებული ხსნარით შეიძლება ერთი ფუთისა და მეტი მატყლის შეღებვა; მას ჩასდებენ იმავე ქურჭელში, სადაც იხარშებოდა ნარევი და აგრძელებენ ხარშვას ორი საათის განმავლობაში, რის შემდეგ ამოიღებენ და გაჰფენენ ჰაერზე გასაშრობად ორი დღით.

დასასრულ მას გარეცხენ რამოდენიმეჯერ ცივი წყლით და ამის შემდეგ გაავლებენ „ფერნაგბუკის" ხის წვენში. ამის შემდეგ მატყლი იღებს შავ ფერს, რომელიც სრულიად არ შეიძლება გახუნებული იქნეს.

**ლაქი ლითონის ზედაპირის გაპრიალებისათვის.**

ლითონის გლუვ ზედაპირზე სპირტეულობისაგან დამზადებული ლაქი არ ჩერდება; რომ თავიდან იქნეს აცილებული ეს მოვლენა სპირტის ლაქს უნდა მიემატოს ცოტა კრისტალური ბორის სიმჟავე შემდეგი შეფარდებით: სპირტის ლაქის თითეულ 100 წილის ნაწილზე ნახევარი ნაწილი ბორის სიმჟავე. ლითონის გლუვი ზედაპირი ლაქით დაფარვის წინ კარგად უნდა იქნეს გაწმენდილი. საჭირო არ არის იმაზე მეტი მიემატოს ბორის სიმჟავე რაც აღნიშნულია ზევით—წინააღმდეგ შემთხვევაში ლაქი აღარ დაიწყებს პრიალს.

**ლაქი კალოშებისათვის.**

ეს ლაქი მზადდება შემდეგნაირად: 50 ნაწილ ფრანგულ სკიპიდარს, რომელიც შემოდგმულ უნდა იქნეს არა ძლიერ ცეცხლზე უმატებენ 15 წონის ნაწილ წვრილად დაჭრილ შირას (კაუჩუკი). გამდნარ შირას უმატებენ კიდევ 30 წონის ნაწილ „კანიფოლს". ნარევი ისევ სუსტ ცეცხლის ალზე უნდა იქნეს. ამის შემდეგ, როდესაც ნარევი სრულიად გაითქვიფება უმატებენ კიდევ ძვლის ნახშირს 4 წონის ნაწილს. სრულიად გადნობის შემდეგ, გადმოდგამენ მას და გაცივების შემდეგ უცხებენ კალოშებს. უკანასკნელი ღებულობს შავ პრიალა ფერს.

### გაგვიუმჯობესეთ ლენინის კუთხე.

მეთაურთა გაერთიანებული სკოლის უმწყობრო და სამწყობრო ასეულებს ჰქონდათ საკუთარი ლენინის კუთხე, რომელიც სამწუხაროდ მეტად ჩამოქვეითდა სკოლის ბანაკში გასვლის შემდეგ. არა გვაქვს ლიტერატურა, გაზეთები არ მოგვდის თავის დროზე და მრავალი სხვა, რაც საჭიროა ნაყოფიერი მუშაობის წარმოებისათვის.

დროა ყურადღებას მიაქციოდეს ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს და მოგვაწვდიდეს კუთხისთვის, გამოგვიწეროს გაზეთები და ლიტერატურა.

ს—ლე.

### ყურადღება უნდა მიექცეს.

პირველი ლეგიონის ყაზარმაში დროებით არის მოთავსებული 6 ლეგიონი. აქვე არიან ნაწილი 1-ლი ლეგიონის წითელ არმიელებისა. ყაზარმის ეზოში არის სულ ორი წყალსადენი მილი. ერთი მათგანი გაფუჭებულია, მეორეში კი მოდის წყალი, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს ყაზარმის მოთხოვნილებას. მილთან ერთი აურ-ზაური და ჩხუბია ყოველ დღე. იმართება უზარ-მაზარი კუდები და მთელი საათობით ელოდებიან წყალს.

გაფუჭებული წყალსადენის მილის შეკეთება ბევრი არ დაჯდება. კომენდანტმა ამიტომ საჭიროა მიიღოს ზომები ამ მხრივ და აგვაცილოს თავიდან ყოველ დღიური ჩხუბი და დავიდარება.

ხვედურელი.

## უცხოეთის არმიებში

**ბურჟუაზიის კოლონიალური არმიები.**

უკანასკნელ ხანებში ინგლისის და საფრანგეთის კოლონიებში (ახალშენებში) თანდათან უფრო იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა. მოძრაობა მიზნად ისახავს კოლონიების განთავისუფლებას უცხოეთის კაპიტალის ბატონობისაგან, უცხოელ შემავიწროებლების უღლის გადაგდებას.

ამ მოძრაობის და აგრეთვე კოლონიების გარეშე მტრების თავდასხმისაგან დაცვა აიძულებს იმპერიალისტებს იყოლიონ იქ საგრძნობი რაოდენობის შეიარაღებული ძალები.

მაგალითად ინგლისის ინდოეთში ყავს ინგლისს 340.000-ანი შეიარაღებული არმია. ამ რიცხვიდან 60.000 ინგლისურ ჯარზე მოდის, ხოლო 33,000 ე. წ. „განსაკუთრებულ დანიშნულების ჯარებზე", რომელთა ამოცანას შეადგენს ქვეყნის შიგნით წარმოება რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ეგვიპტეში სუეცის სრუტის, რომელიც აერთიანებს ინგლისს—ინდოეთთან, დასაცავად და რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად ინგლისი ინახავს 37.000 არმიას. აქედან 20.000 ინგლისელია, ხოლო 17.000 ადგილობრივი მცხოვრებლებიდან.

ინგლისის ჯარების საერთო რიცხვი 1921 წლიდან 1925 წლამდე, რომელიც მოქმედებდა მესოპოტამიაში ქურთებისა და არაბების წინააღმდეგ, აღწევს 887.000 ჯარისკაცამდე. აქედან მოკლული და დაჭრილი იქნა 111.500 კაცი. ჯარებზე გაწეული ხარჯები ამ ხნის განმავლობაში აღწევდა მილიარდ ნახევარ ოქროს მანეთამდე.

მაროკოსა და სირიაში რევოლიუციონური მოძრაობის დაწყებამ აიძულა საფრანგეთი გაეძლიერებია თავისი შეიარაღებული ძალები ამ ახალშენებში. 1925 წლის ბოლოსთვის საფრანგეთის მომქმედი არმია მაროკოში შესდგებოდა 150 ათასი ჯარისკაცისაგან, ხოლო სირიაში კი 50.000 კაცისაგან. საფრანგეთის მიერ გაწეულ სამხედრო ხარჯებმა მაროკოს არმიაზე შეადგინეს 1925 წლის ბოლოსათვის 3 მილიარდი ოქროს ფრანკამდე თანხა (დაახლოებით 300 მილიონი ოქროს მანეთი).

## პასუხი შეკითხვებზე

— ტყეშელაშვილს. საჰაერო სკოლაში რომ შეხვიდეთ თვის საჭიროა მეორე საფეხურის სკოლა დამთავრებული გქონდეს და საზაფხულო საბრძოლო სამსახურისათვის ვარგისი იყოთ (ბრძანება №627—25 წ.)

— ა. ს. დისციპლინარულ სასჯელის მიხედვით უფროსს შეუძლია არ მისცეს მოკლე ვადიანი შვებულება იმ წ. ა., რომლებსაც შეუძლიათ ამ შვებულებით სარგებლობა თანახმად ბრძანების № 1155— 25 წ. შვებულება შეუძლია არ მისცეს ექვსი თვის განმავლობაში (მ. გ. წ. ა. მთავარ სამჰართველოს ცირკულიარი №...—25 წლის).

— კ—შვილს. საერთოდ დრო გატარებული შვებულებს სხვა და სხვა მიზეზების გამო ითვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურათ. (ბრ. № 965—25 წ. და მ. გ. წ. ა. სამწყობრო სამმართველოს ცირკულიარი № 113090—25 წ.)

— ფსტურს. ტყიდან მასალა უნდა მოგეცეთ 25—75 პროცენტით დაკლებულ ფასებში. (ბრ. 1520—24 წ.)

— ზარიძეს. სასამართლოს წესით შეგიძლიათ აღადგინოთ თქვენი უფლება.

— შვილდიანს. სამხედრო უწყებიდან დახმარება არ მოგეცემათ. დახმარებისათვის მიმართოს თქვენმა ცოლმა გლეხკომის საშუალებით უზრუნველყოფის კომისარიატს.

— ახალაძეს. მიწის დამტკიცება არავის შეუძლია.

— მეფარიშვილს. ეძლევათ.

— დეისაძეს. ამა წლის შემოდგომაზე.

— კუჭაიძეს. სექტემბერში. ჯერ არ არის ცნობა, თუ რამდენი ადგილი დაეთმობა დივიზიას.

— გორათელს. გაიწვევენ ცვალებად შემადგენლობაში.

— № 5. თქვენს შეკითხვაზე პასუხის მოცემა შეუძლია ლეგიონის ექიმს.

— ნალს. არ გეკუთვნით.

— დაინტერესებულს. ადგილი არ გენახებათ. სამსახურის გათავების შემდეგ სხვაგან მოგეცემათ ადგილი.

— სიპელს. პირსახოცი 6 თვე, ცხვირსახოცი—4 თვე. საკუთრებათ არ გადადის.

## პასუხი სამხედრებს

გ. ჟ—ის და ბიკაშვილს. თქვენი წერილები „სიბნელისა" და „საყარაულოს" შესახებ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

ზაუტაშვილის. წერილი „რას უნდა მიექცეს ყურადღება" არ გამოდგა.

ე—ლს. თქვენი კორესპონდენცია „შთაბეჭდილება" არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

გორგაძეს. თქვენი წერილი დასაფასებელ მუშაკის შესახებ არ დაიბეჭდება. მოიწერეთ სხვაზე.

რევიშვილს. თქვენი ლექსი არ გამოგვადგა.

ამხ. კვიჟინაძეს. ვინაიდან თქვენი გამოგზავნილი წერილი და ფული მივიღეთ 10 ივნისს, ამიტომ გაზეთი გეგზავნებათ 15 ივნისიდან.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-5 ლეგიონის მე-3 ათასეულის მე-7 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ამხ. ვლასა შარაშანიძეს (ოც. მეთაური), 2. ვარლამ ილიასძე ცქიტიშვილს (უპარტიო ოც. მეთაური), 3. მიხეილ საბასძე გუგუტაშვილს, (ათ. მეთაური), 4. დავიდ ილარიონისძე ნაცვლიშვილს (წ. ლაშქრელი ა.ლ.კ.კ. 25 წ), 5. სამსონ ლანჩავას (წ. არმიელი უპარტიო).

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმოეგო მათ შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 8 დღის განმავლობაში მე-3 ათასეულის კომუჯრედში.

1-ლ ქართულ მსროლელ საარტილერიო ლეგიონის მე-4 საგაუბიცო ბატარეიის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ამხ. გრიგოლ ივანესძე კაცაძეს, (მცხოვრები სოფ. ტობანიერში ტობანიერის თემის ქუთაისის მაზრის, გლეხი. თვით მიწის მუშა, განათლებით დაბალი).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ შეგიძლიათ 6 დღის განმავლობაში როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად აცნობოთ 1-ლ საარტილერიო ლეგიონის მე-4 საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედში.


## რა ღირს 1-ლ ივნისიდან „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ. 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.